საქართველოს
მთავრობის ადმინისტრაცია

ADMINISTRATION
OF THE GOVERNMENT OF GEORGIA

GOV 6 20 00006372

20/02/2020

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საქართველოს პარლამენტის 2020 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმა, თუმცა აღნიშნულ გეგმაში არ ასახულა „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც უკავშირდება სპეციალიზებული დეპოზიტარის საკითხებს.

საკანონმდებლო ცვლილების წარმოდგენის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი გარემოებით:
აღსანიშნავია, რომ სსიპ - საპენსიო სააგენტოს გამოცხადებული აქვს კონკურსი დაგროვებითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევასთან დაკავშირებით. სწორედ სპეციალიზებული დეპოზიტარის შერჩევაზეა დამოკიდებული სსიპ - საპენსიო სააგენტოს მიერ საპენსიო აქტივების ინვესტირება ფასიან ქაღალდებში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ კონკურსში მონაწილეობა მიიღოს სპეციალიზებული დეპოზიტარობის მსურველმა, რაც შეიძლება მეტმა დაინტერესებულმა პირმა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საპენსიო აქტივების ინვესტირების პროცესის დროულ დაწყებას „დაგროვებითი პენსიის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, საპენსიო სააგენტოს ექნება შესაძლებლობა განახორციელოს ინვესტიცია უფრო მეტ საინვესტიციო ინსტრუმენტში (ფასიან ქაღალდებში), ვიდრე ეს დაშვებულია კანონის მოქმედი რედაქციით. მაგალითად, თუ აქამდე სააგენტო ვერ მოახდენდა ინვესტირებას მისთვის სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციის შემსრულებელი პირის ან მასთან აფილირებული პირის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდში, კანონპროექტის მიღების შემდეგ, ის შეძლებს ასეთი პირის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებში ინვესტირებას. ეს კი გახდის პორტფელს უფრო მეტად დივერსიფიცირებულს და ხელს შეუწყობს საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაციას და დადებითად აისახება საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში საპენსიო აქტივებიდან მისაღებ შემოსავალზე.

ვინაიდან, პრობლემის იდენტიფიცირება განხორციელდა კონკურსის გამოცხადების შემდეგ (აღნიშნული ცვლილების განხორციელებამდე სპეციალიზებული დეპოზიტარები თავს იკავებენ კონკურსში მონაწილეობისაგან), ხოლო სსიპ - საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო ბორდმა კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანისთვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართა საქართველოს მთავრობის მიერ კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიანი გეგმის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემდგომ, ვერ მოხერხდა აღნიშნული კანონპროექტის მოკლევადიან გეგმაში დროული გათვალისწინება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-100 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ წარმოდგენილი დასაბუთება.

მთავრობის საპარლამენტო მდივანი
ბექა დოჭვირი